განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ლიკვიდაცია, ხოლო მათი ფუნქციები და უფლებამოსილებები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცემა.

საქართველოს კონსტიტუციური წყობილებიდან და კონსტიტუციური სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მმართველობის მოდელი ექსკლუზიურად წესრიგდება საქართველოს კონსტიტუციით და, ამდენად, სახელმწიფო ორგანოთა სამართლებრივი სტატუსიც ძირითადად კონსტიტუციით განისაზღვრება. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით ანტიკორუფციული ბიუროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ შესაბამის დამოუკიდებელ ორგანოს გადაეცემა. ამ შემთხვევაში ასეთი დამოუკიდებელი ორგანოა სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ამრიგად, წარმოდგენილი კანონპროექტი, აღნიშნული საკითხიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს სათანადო ცვლილების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ასახვას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ პერსონალური მონაცემების ეფექტიანად დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით შესაბამისი ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარეც ეკისრებათ.[1]

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

[1] LIEBSCHER v. AUSTRIA §61; MITREVSKA v. NORTH MACEDONIA §45; Y.G. v. RUSSIA §§42-43.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სათანადოდ მოწესრიგდება პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოს მიერ კონტროლის საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კონტროლის უფლებამოსილება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცემა.

კანონპროექტით დეტალურად წესრიგდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების საკითხები პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კონტროლის სფეროში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის გამოქვეყნების მომენტიდან კანონის ამოქმედებამდე პერიოდში შესაბამისი მოსამზადებელი/საორგანიზაციო ღონისძიებების გატარების აუცილებლობიდან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის 2026 წლის 1 მარტიდან ამოქმედებას. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღების შედეგად გამოწვეული ხარჯები დაიფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან. ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია,

რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2026 წლის 1 მარტიდან ენიჭება „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის (პროგრამული კოდი – 39 00) განსაზღვრული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დღესდღეობით განსაზღვრულია 9 მილიონი ლარი. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გადაცემა გამოიწვევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საბიუჯეტო ხარჯების გარკვეულწილად გაზრდას, რაც მომდევნო წლების სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებებში აისახება. თუმცა, ამავე დროს, ეს თანხები 2026 წლის 1 მარტიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ლიკვიდაციის გამო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობას თავისთავად ვეღარ მოხმარდება. ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2026 წლის 1 მარტიდან ენიჭება „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის (პროგრამული კოდი – 39 00) განსაზღვრული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება. ამასთანავე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებს სათანადო პირობების დაცვით მიეცემათ შესაბამისი კომპენსაცია, რომლის გაცემასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. გასაცემი კომპენსაციის საერთო ოდენობა კი დამოკიდებული იქნება კომპენსაციის მიმღებ პირთა რაოდენობაზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ

პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

2026 წლის 1 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ლიკვიდაციის გამო იმავე მომენტში შეწყდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ყველა თანამდებობის პირისა და თანამშრომლის უფლებამოსილება და მათსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობა (ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში). ამასთანავე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის აღნიშნულ თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებს სათანადო პირობების დაცვით მიეცემათ შესაბამისი კომპენსაცია, რომლის გაცემასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.